ინფორმირებულობა ტრავმაზე საქართველოში მშვიდობის მშენებლობაზე მომუშავე პირებში

პაატა ალავერდაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

1.2. განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი გახლავთ ჩემი ორიგინალური ნამუშევარი და არ მოიცავს სხვა ავტორების მიერ ამ დრომდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული საჭირო წესების შესაბამისად.

1.3. აბსტრაქტი

საქართველომ გამოცადა არაერთი შეიარაღებული კონფლიქტი ბოლო სამ ათწლეულში, როგორც ქვეყნის შიგნით, ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ასევე მეზობელ აგრესორ ქვეყანასთან, რუსეთთან, რომელიც მატრავმირებელ ხასიათს ატარებდა. ამ კონფლიქტების მატრავმირებელი განვლენა დღემდე ნარჩუნდება გამყოფი ხაზების, მცოცავი ოკუპაციის და განგრძობილი ძალადობრივი ფაქტებით ამ ხაზებთან მცხოვრები მოსახლეობის მიმართ. საპასუხოდ მიმდინარეობს მშვიდობის შენები პროცესი. კვლევა მიზნად ისახავდა, გამოგვეკვლია მშვიდობის მშენებელი პრაქტიკოსების ინფორმირებულობის დონე აღნიშნული კონფლიქტებისგან გამოწვეული ფსიქოლოგიური ტრავმის შესახებ.

კვლევის ფარგლებსი განხორციელდა თვისებრივი ფენომენოლოგიური კვლევა და ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ 8 პრაქტიკოსთან თბილისში, რომლები რეგულარულად მუშაობენ ამ სფეროში.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პრაქტიკოსებს აქვთ მნიშვნელოვანი ცოდნა კონფლიქტების მატრავმირებელ გავლენაზე და მის ხანგრძლივ გავლენაზე. ისინი აღწერენ მრავალ დეტალს, თუ როგორ გამოიხატება ტრავმა გადარჩენილების სოციალურ ქცევებსა და ჩართულობაში. პრაქტიკოსები ადასტურებენ, რომ ტრავმის გათვალისწინება მშვიდობის შენებაში აუცილებელია მისი ეფექტურობისა და მდგრადობისთვის. ამასთანავე, აღნიშნავენ, რომ არ აქვთ კომპეტენცია ამ მიმართულებით და ბევრ შესაძლო ღონისძიებას ვერ ასახელებენ, რაც შეიძლება იყოს ამ მხრივ რელევანტურილი.

ჩვენ ვთვლით, რომ აუცილებელია ამ მიმართლებით კვლევების გაგრძელება და პრაქტიკოსებთან ერთად ინდერდისციპლინური მიდგომების გაუმჯობესება მშვიდობის შენების პროცესში, რათა ტრავმის მნიშვნელობა სათანადოდ იყოს

გათვალისწინებული და ღონისძიებებში ინტეგრირებული სათანადოდ. ეს ხელს შეუწყობს მშვიდობის შენების პროცესის გაუმჯობესებასა და მის მდგრადობას.
ძირითადი საძიებო სიტყვები: კონლიქტების მოგვარება; მშვიდობის შენება; ნდობის აღდგენა; სოციალური ტრავმა; ტრავმის თაობათაშორისი გადასვლა; მშვიდობის შენებაში ტრავმის გათვალისწინება; მშვიდობის მშენებლების ცნობიერება ტრავმაზე.

1.3. Abstract

Georgia has experienced several armed conflicts within last three decades, that has been traumatizing for a society. This impact is kept through illegal borderization and continuous violence along these division lines. Parallel to that a peacebuilding process is being conducted. The research has aimed to explore the awareness of peacebuilding practitioners on psychological trauma caused by the conflicts.

There was phenomenological research conducted and in-depth interviews carried out with 8 practitioners, who live and work in the field in Tbilisi.

The research has shown that the practitioners have a sound knowledge on long-lasting traumatic impact of armed conflicts on population. They describe variety of symptoms of it with trauma survivors. The practitioners confirm that it's important to consider trauma in peacebuilding process to make it meaningful, effective and sustainable. Though they can't name many ways how trauma can be integrated in peacebuilding as they are not qualified in trauma work

We argue that it's important that further researches are conducted related to this topic and interdisciplinary approaches get developed by practitioners and trauma workers. This should support trauma to be better integrated in peacebuilding, which will improve quality of peacebuilding and sustainability.

Key words: Peacebuilding; Trust building; Trauma in peacebuilding; Intergenerational trauma; Practitioners awareness on trauma; Social trauma.

1.4. მადლობა

გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის, გულისხმიერი უკუკავშირისა და რჩევებისთვის, დიდ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ ჯანა ჯავახიშვილს.

მინდა, გულითადი მადლობა გადავუხადო კვლევაში მონაწილე პრაქტიკოსებს მათი დროისთვის, კვლევაში მონაწილეობისთვის და გულწრფელობისთვის, რის გარეშეც აღნიშნული კვლევა ვერ ჩატარდებოდა.